სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2026 წელის პირველი და მეორე კვარტლის

ანგარიში

2026 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ქალაქად და სოფლად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით გაფორმდა N102 ხელშეკრულება NAT260006907 (სამშენებლო კომპანია - შპს ,,ინდიკო'') და მიმდინარეობს ასფალტობეტონის საფარის მოწყობა

1. ლეძაძამეს ადმინისტრაიცული ერთეული, სოფელ ბეთლემში I ქუჩის III ჩიხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 125612,84 ლარი;
2. მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეული, საგუდაოს უბანში გზის რეაბილიტაცია - ღირებულებით 299938,47 ლარი;
3. გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეული, სათურქიოს უბანში გზის რეაბილიტაცია - ღირებულებით 540422,33 ლარი;
4. ზანის ადმინისტრაციული ერთეული, საშურღაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია - ღირებულებით 53161,83 ლარი;
5. ზანის ადმინისტრაიცული ერთეული, სოფელ ზანაში მე-7ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 36849,31 ლარი;
6. ზანის ადმინისტრაციული ერთეული, სატყეებუჩაო და სააფაქიოს გზის რეაბილიტაცია - ღირებულებით 426 565,10 ლარი;
7. თეკლათის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ტყირის გზის რეაბილიტაცია - ღირებულებით 705 950,12 ლარი;

საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 2188500,00 (ორი მილიონ ასოთხმოცდარვა ათას ხუთასი) ლარი.

N98 ხელშეკრულების NAT260007464 ფარგლებში მიმდინარეობს (სამშენებლო კომპანია-შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N1''), ქალაქად ასფალტირების სამუშაოები, კერძოდ:

1. კოსტვას ქუჩის რეაბილიტაცია - ღირებულებით 131 453,94 ლარი;
2. ქურდოვანიძის ქუჩის ასფალტირება - ღირებულებით 207560,20 ლარი;
3. წერეთლის ქუჩის (რუსთაველის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე) ასფალტირება - ღირებულებით 92135,41 ლარი;
4. ვაჰანიას ქუჩის ასფალტირება - ღირებულებით 165894,63 ლარი;
5. ჯორჯაძის ქუჩის (ცოტნე დადიანის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) ასფალტირება - ღირებულებით 54237,69 ლარი;
6. ბარათაშვილის ქუჩის ასფალტირება - ღირებულებით 97329,77 ლარი;

7. ნინოშვილის ქუჩის ასფალტირება - ღირებულებით 97449,25 ლარი;
8. ცოტნე დადიანის ქუჩის ასფალტირება - ღირებულებით 320749,54 ლარი;
9. რუსთაველის ქუჩის ასფალტირება - ღირებულებით 737849,08 ლარი;
10. წმინდა ნინოს ქუჩის ზედა მონაკვეთის რეაბილიტაცია - ღირებულებით 110386,81 ლარი;

საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 2015046,32 (ორი მილიონ თხუთმეტი ათას ორმოცდაექვსი და 32 თეთრი) ლარი.

ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა მენჯის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელ საწულეისკირიოში და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ კოტიანეთში მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - საერთო ღირებულებით 201268 (ორასერთი ათას ორასსამოცდარვა) ლარი.

მიმდინარეობს - რუსთაველის ქუჩა N227-229, შენობის ფასადის რეაბილიტაცია- ღირებულებით 102578 (ასორი ათას ხუთასსამოცდათვრამეტი) ლარი და უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი ჭავჭავაძის ქუჩა N123, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაციაზე, რომლის პროექტის ღირებულება შეადგენს 320 840 (სამასოცი ათას რვაასორმოცი) ლარს.

ასევე მიმდინარეობს ნაფეტვარიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 124996,25 ლარი (ასოცდაოთხი ათას ცხრაასოთხმოცდათექვსმეტი და 25 თეთრი) ლარი და დასრულდა ა(ა).ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტი, სასპორტო გაერთიანების შენობის წინ ტერიტორიის კეთილმოწყობა - ღირებულებით 118617 (ასთვრამეტი ათას ექვსასჩვიდმეტი) ლარი;

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ პროექტებს, დასრულდა:

1. სენაკის მუნიციპალიტეტში ამორტიზირებული ოდა სახლის დემონტაჟის და დასაწყობების სამუშაოები - ღირებულებით 5949 (ხუთი ათას ცხრაასორმოცდაცხრა) ლარი;
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკა ,,დიომედი'' -ის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 34689 (ოცდათოთხმეტი ათას ექვსასოთხმოცდაცხრა) ლარი;
3. სახვითი ხელოვნების გალერეას ფონდსაცავი ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 26939,94 (ოცდაექვსი ათას ცხრაასოცდაცხრამეტი და 94 თეთრი) ლარი;

4. ძველი სენაკის ბაღის შენობის წინ გამავალი სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 26562 (ოცდაექვსი ათას ხუთას სამოცდაორი) ლარი;
5. სენაკის მუნიციპალიტეტში ძველი სენაკის, ფოცხოს და ლეძაძამის ბაღების ტერიტორიაზე ჭაბურღილების გასაბურღი ადგილების დადგენის მიზნით საჭირო ჰიფრო-გეოლოგიური კვლევა - 6199,50 (ექვსიათას ასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი;
6. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო საფარის მოვლა-შენახვის სამუშაოები - ღირებულებით 600 000 ლარი (ექვსასი ათასი) ლარი;

სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა გამარჯვებული საპროექტო წინადადებები, რომლის თანახმად დაგეგმილია - ქალაქ სენაკი, სამხედრო დასახლებაში, ენერგოეფექტურ და ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული 2 მულტიფუნქციური მოსაცდელის მოწყობა - სავარაუდო ღირებულებით 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი და ქ.სენაკი, ელექტრომობილების დასამუხტი სადგურის მოწყობა - სავარაუდო ღირებულებით 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის - ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ფარგლებში 2025 წელს ხელშეკრულება გაფორმდა და მიმდინარეობს:

ქალაქ სენაკში, ცენტრალურ ნაწილში (ს/კ 44.01.31.648), თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობა (ლოტი 1) ღირებულებით 282 641,62 (ორასოთხმოცდაორი ათას ექვსასორმოცდაერთი და 62 თეთრი) ლარი და ლოტი 2 - ღირებულებით 53157,58 (ორმოცდაცამეტი ათას ასორმოცდაჩვიდმეტი და 58 თეთრი) ლარი;

2025 წლის 22-26 თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების (დიდთოვლობა) შედეგად დაზარალდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. კერძოდ, მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანდა მოსახლეობის კერძო საცხოვრებელი სახლები. **41 ოჯახი,** რომელთა საცხოვრებელი სახლის სახურავები სტიქიის შედეგად **ნაწილობრივ დაზიანდა** , ხოლო **2 ოჯახი,** რომელთა საცხოვრებელი სახლის სახურავი სრულად ჩაინგრა. **საერთო ჯამში 43 ოჯახი.** განცხადებების საფუძველზე ზარალის დამთვლელი კომისიის მიერ დადგენილ იქნა მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 09 ივნისის N241 განგარგულების საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტს გამოეყო 86 024 (ოთხმოცდაექვსი ათას ოცდაოთხი ათასი) ლარი. მიმდინარეობს საკომპესაციო თანხების ანაზღაურების პროცედურები.

2025 წლის 21 სექტემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანდა სანიაღვრე არხები, ხიდ-ბოგირები და ჩაიქცა სავალი გზის გვერდულები. შესყიდულ იქნა საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაცია. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N619 განკარგულების საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ იქნა 1145000 (მილიონ ასორმოცდახუთი ათასი ლარი. ამ ეტაპზე გამოყოფილი თანხის ფარგლებში ყველა ტენდერი გამოცხადებულია და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ:

1. ქ.სენაკი, ზვიად გამსახურდიას ქუჩიდან ვახტანგ გორგასლის ქუჩამდე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - 255272,42 ლარი;
2. ქ.სენაკი, ძმათა სასაფლაოზე საყრდენი კედლის რეაბილიტაცია - 18995,47 ლარი;
3. ქალაქის N 2 საბავშვო ბაღის სახურავის და ოთახების რეაბილიტაცია - 20176,11 ლარი;
4. შხეფის ქუჩის ჩიხში არსებულ სანიაღვრე არხზე რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა - 69205,60 ლარი;
5. ქ. სენაკი, შელეგიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - 183914,91 ლარი;
6. ქ.სენაკი, ნატოჩაოს უბანში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - 78581,11 ლარი;
7. ღელე ,,ხაბაზეთზე" (იუსტიციის სახლის მიმდებარედ) დაზიანებული ბეტონის ჯებირების აღდგენა - 25539,73 ლარი;
8. ქუთაისის ქუჩის I შესახვევში გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია - 28577 ლარი;
9. ქუთაისის ქუჩის 1 შესახვევის N 2 სახლთან სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - 11584 ლარი;
10. თეფანიას ქუჩის ბოლოს გამავალ ღელეზე დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია - 30742 ლარი;
11. თეფანიას ქუჩაზე არსებულ ღელეზე კედლების და ხიდის ბურჯების რეაბილიტაცია - 22248 ლარი;
12. თეფანიას ქუჩა N31 -ის მიდებარედ არხზე რკინაბეტონის კედლის მოწყობა 15 გრძივ მეტრზე. ღელეზე არსებული კედელის ამაღლება 15 გრძივ მეტრზე - 16347 ლარი;
13. ლეძაძამის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ. ლეგოგიეს გზაზე ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია - 14737 ლარი;
14. ლეძაძამის ადმინისტრაციული ერთეული, ლეკირცხალიეს უბანში გზაზე ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია - 28861 ლარი;
15. ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის ლებაღათურეს უბანში ხიდის სათავისების რეაბილიტაცია - 24489 ლარი;
16. ძვ. სენაკი, სხივის ქუჩაზე დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია - 26356 ლარი;
17. ხორშის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.შუა ხორში, მეურნეობის უბანში გზის დამცავი საყრდენი კედლის მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით - 14509 ლარი;
18. ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ დიდ ხორშში გზის ჩაქცეული გვერდულის რეაბილიტაცია - 17628 ლარი;
19. ხორშის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.შუა ხორში, საჭანტურიოს უბანში მილხიდზე სათავისების მოწყობა - 20272 ლარი;

20. ხორშის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.შუა ხორში, საგვასალიოს უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობა - 50922 ლარი;
21. ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ ციზეთში დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია - 51068 ლარი;
22. ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ალერტის გზაზე დაზიანებული გვერდულის რეაბილიტაცია- 25760 ლარი;
23. მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა - 29837 ლარი;
24. მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის პერტულის უბანში არსებულ ხიდბოგირზე მისასვლელი გზის აღდგენა - 33616 ლარი;
25. მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში საწულეისკიროს უბანში არსებულ ხიდბოგირზე ჩაქცეული გვერდულის აღდგენა - 19564 ლარი;
26. ეკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. შრომისკარში დაზიანებული ხიდბოგირის რეაბილიტაცია - 7953,66 ლარი;
27. ეკის ადმინისტრაციულ ერთეულის საკუჭაოს უბანში გზის ჩაქცეული გვერდულის რეაბილიტაცია (I ლოკაცია) - 25153,51 ლარი;
28. ეკის ადმინისტრაციულ ერთეულის საკუჭაოს უბანში გზის ჩაქცეული გვერდულის რეაბილიტაცია (II ლოკაცია) - 24500,75 ლარი;
29. ეკის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ საადამიოში ხიდის ბურჯის გამაგრება - 73468,75 ლარი;
30. ზანის ადმინისტრაციული ერთეული, სატყეებუჩაოს უბანში დაზიანებული მილხიდის აღდგენა - 24922,33 ლარი;

2026 წლის 21 აპრილს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად ლეძაძამე-ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელ გზაზე განვითარდა მეწყრული პროცესები, რამაც გამოიწვია გზის გვერდულის ჩაქცევა დაახლოებით 40 გრძივ მეტრზე. სენაკის მუნიციპალიტეტის ზარალის დამდგენი კომისიის მიერ დათვლილ იქნა მიყენებული ზარალის სავარაუდო ოდენობა, რომელმაც შეადგინა 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარი. გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე.

2026 წლის 25 მაისს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანდა სანიაღვრე არხები, ხიდის ბურჯი, საფეხმავლო ხიდი, მილხიდები და ჩაიქცა სავალი გზის გვერდულები. სენაკის მუნიციპალიტეტის ზარალის დამდგენი კომისიის მიერ დათვლილ იქნა მიყენებული ზარალის სავარაუდო ოდენობა, რომელმაც შეადგინა 290 000 (ორასოთხმოცდაათი ათასი) ლარი. გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, კერძოდ:

1. ლეძაძამის ადმინისტრაციული ერთეული, ლეგოგიეს უბანში დაზიანებული გზის აღდგენა/რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 40 000 ლარი;
2. ხორშის ადმინისტრაციული ერთეული, ლორჩოშვილების უბანში დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 30 000 ლარი;

3. ზანის ადმინისტრაციული ერთეული, ზანა-ეწერის გზაზე ჩაქცეული გვერდულის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 20 000 ლარი;
4. ზანის ადმინისტრაციული ერთეული, ზანა-ეწერის გზაზე მილხიდის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 20 000 ლარი;
5. ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეული, ტყეებუჩავების უბანში დამეწყრილი გზის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 35 000 ლარი;
6. ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეული, ლეტორჩინეს უბანში დაზიანებული ორი მილხიდის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 25 000 ლარი;
7. ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეული, ლეჯოჯუეს უბანში საფეხმავლო ხიდის მოწყობა - სავარაუდო ღირებულება - 45 000 ლარი;
8. ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გახომელაში, სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 35 000 ლარი;
9. ქ. სენაკი, სტალინის ქ. N50-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 30 000 ლარი;
10. ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი კვაუთი, ლევახანეს უბანში გზის ჩაქცეული მონაკვეთის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 10 000 ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სამუშაოები განხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. ამ კუთხით გამოიყო 738 000 (შვიდასოცდათვრამეტი ათასი) ლარი. ქალაქს შეემატა 38 ინფრასტრუქტურული პროექტი. რეაბილიტირდა გზები, ხიდ-ბოგირები, მოეწყო გარე-განათების სისტემები, სკვერები, საბავშვო ატრაქციონები, ტრენაჟორები და სხვა. ხელშეკრულება გაფორმებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე და მიმდინარეობს პროექტირება.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებით მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ხელშეკრულება გაფორმებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე, მიმდინარეობს პროექტირება, კერძოდ:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ თეკლათის საჯარო სკოლის სახურავის და საკლასო ოთახების რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 244 961 ლარი;
2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალისოფლის საჯარო სკოლის სახურავის და პირველი სართულის საკლასო ოთახების რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 179 450 ლარი;
3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ მენჯის საჯარო სკოლა გათბობის სისტემის და საკლასო ოთახის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 174 600 ლარი;
4. სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობა - სავარაუდო ღირებულება 485 000 ლარი;
5. სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა, საკლასო ოთახების რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 97 000 ლარი;
6. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ფოცხოს საჯარო სკოლის სპორტდარბაზის და ეზოს შემოკავების რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 237 650 ლარი;

2026 წელს ხელშეკრულება გაფორმდა 14 747 661 ლარის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებამ ჯამურად შეადგინა 186 021 ლარი.

2026 წელის მიმდინარე პერიოდისთვის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურმა მშენებლობის ნებართვა გასცა 13 ფიზიკურ და 7 იურიდიულ პირზე. ადგილობრივ ბიუჯეტში მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის სახით შეტანილ იქნა 17507 ლარი. გაცემული ნებართვებიდან 11 ფიზიკურ პირზე გაცემულ იქნა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.